

გეოგრაფია
წლიური პროგრამა

სავალდებულო თემები	ცნებები, რომლებიც თითოეულ თემაში უნდა დამუშავდეს
VII კლასი	<p>რუკა, პირობითი ნიშნები, კოორდინატი, კომპასი, გეოგრაფიული ინფორმაცია, გეოგრაფიული გარსი, ბუნებრივი ზონა, მსოფლიო ოკეანე; გეოლოგიური პროცესი, რელიეფი, გეოგრაფიული აღმოჩენები. ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, დასახლების ტიპი, რეგიონი, კონტინენტი, გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება, ბუნებრივი კატასტროფა, უსაფრთხოება.</p>
აფრიკა	
ავსტრალია და ოკეანეთი	
ანტარქტიდა	
VIII კლასი	
ევროპა	
აზია	
სამხრეთ ამერიკა	
ჩრდილოეთ ამერიკა	
IX კლასი	
დასავლეთ საქართველო	
აღმოსავლეთ საქართველო	
სამხრეთ საქართველო	

თემები VII კლასისათვის

თემა: აფრიკა	საათების სავარაუდო რაოდენობა: 20 (+4)
საკითხები <ol style="list-style-type: none">1. აღმოსავლეთ აფრიკის რიფტული რღვევა;2. საჰარა;3. ნილოსი;4. დევიდ ლივინგსტონი;5. კიმბერლის ალმასები (კოლონიალიზმი);6. საჰელის რეგიონი;7. ნილოტები და პიგმეები.	
თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები: <p>რუკა, პირობითი ნიშნები, კოორდინატი, კომპასი, გეოგრაფიული ინფორმაცია, გეოგრაფიული გარსი, ბუნებრივი ზონა, მსოფლიო ოკეანე, ჰავა, გეოლოგიური პროცესი, რელიეფი, გეოგრაფიული აღმოჩენები; ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, დასახლების ტიპი, რეგიონი, კონტინენტი, გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება, ბუნებრივი კატასტროფა, უსაფრთხოება.</p>	
საკვანძო შეკითხვები <ul style="list-style-type: none">• რისი გაგება შემიძლია აფრიკის შესახებ რუკის საშუალებით?• როგორ მიიღო აფრიკის კონტინენტმა თანამედროვე სახე?• რატომ ემთხვევა სამხრეთ ამერიკის და აფრიკის სანაპირო ხაზების მოხაზულობა ერთმანეთს?• რატომ არის აფრიკა ყველაზე ცხელი კონტინენტი? რატომ არ არის აფრიკაში მკვეთრად გამოხატული სეზონები?• რატომ წარმოიქმნება ვადები და ოაზისები?• რა გავლენა მოახდინა აფრიკის კონტინენტზე აღმოჩენებმა?• რა შედეგები მოიტანა კოლონიალიზმმა? რატომ არის აფრიკის სახელმწიფოებს შორის გეომეტრიული საზღვრები?• როგორ იცავს თავს აფრიკის მოსახლეობა ბუნებრივი კატასტროფებისგან?• რატომ იზრდება აფრიკაში მოსახლეობის რაოდენობა სწრაფად?• რატომ იქმნება აფრიკაში ეკოლოგიური კრიზისები?• რატომ ცხოვრობს დიდი რაოდენობით შავკანიანი მოსახლეობა სხვა კონტინენტებზე?• რატომ არის აფრიკაში წამყვანი მოპოვებითი მრეწველობა?	
აქტივობები	
იდევნი კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის	

ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- რუკის გამოყენებით აფრიკის (მაგ.: რელიეფის, ჰავის) დახასიათება (გეო.სტ.საბ.1,2,3,8);
- გაანალიზოს აფრიკისთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული პროცესები (საზოგადოებრივი, ფიზიკურ-გეოგრაფიული), დაადგინოს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები (გეო.სტ.საბ.4,5,6,7,10,11);
- აფრიკისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური პრობლემების (მაგ.: გაუდაბნობა, ნიადაგის ეროზია) დახასიათება; მათი პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.სტ.საბ.7,9,10,11).

მკვიდრი წარმოდგენები

- აფრიკა ცხელი კონტინენტია;
- აფრიკაში მოსახლეობის რაოდენობა ძალიან სწრაფად იზრდება;
- აფრიკაში გეომეტრიული საზღვრები და ევროპული ენების გავრცელება კოლონიალიზმის შედეგია.
- აფრიკისთვის დამახასიათებელია სწრაფი გაუდაბნობების პროცესი; აფრიკაში აქტუალურია სუფთა წყლის პრობლემა;
- აფრიკა ნედლეულის წყაროა;
- აფრიკაში არის მსოფლიოში ყველაზე გრძელი მდინარე ნილოსი;
- აფრიკაში დღემდეა შენარჩუნებული ტომობრივი სოციალური სტრუქტურა.

<p>თემა: ავსტრალია და ოკეანეთი</p> <p>საკითხები</p> <ol style="list-style-type: none"> ინდო-ავსტრალიის ფილა; აბორიგენები; ჯეიმს კუკი და აბელ ტასმანი; მარჯნის კუნძულები. 	<p>საათების სავარაუდო რაოდენობა: 18 (+4)</p>
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:</p> <p>რუკა, პირობითი ნიშნები, კოორდინატი, კომპასი, გეოგრაფიული ინფორმაცია, გეოგრაფიული გარსი, ბუნებრივი ზონა, მსოფლიო ოკეანე, ჰავა, გეოლოგიური პროცესი, რელიეფი, გეოგრაფიული აღმოჩენები; ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, დასახლების ტიპი, რეგიონი, კონტინენტი, გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება, ბუნებრივი კატასტროფა, უსაფრთხოება.</p>	
<p>საკვანძო შეკითხვები</p> <ul style="list-style-type: none"> რისი გაგება შემიძლია ავსტრალიის შესახებ რუკის საშუალებით? არის თუ არა ავსტრალია კონტინენტი და როგორ ჩამოყალიბდა იგი? რატომ გვხვდება ავსტრალიაში დიდი რაოდენობით ენდემური ცხოველებისა და მცენარეების სახეობები? რატომ არის ავსტრალიაში ბევრი მიწისქვეშა წყალი და ცოტა მდინარე? რა გავლენას ახდენს რელიეფი ავსტრალიის მოსახლეობის განსახლებაზე? რატომ ცხოვრობს მოსახლეობის უმეტესობა ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე? რა გამოარჩევს მკვიდრ მოსახლეობას სხვა კონტინენტების მოსახლეობისგან? რატომ აღმოჩნდა საფრთხის ქვეშ მარჯნები? 	
<p>აქტივობები</p>	
<p>იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის</p>	
<p>შეფასების ინდიკატორები - <i>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</i></p> <ul style="list-style-type: none"> რუკის გამოყენებით ავსტრალიის და ოკეანეთის (მაგ.: რელიეფის, ჰავის) დახასიათება (გეო.სტ.საბ.1,2,3,8); გაანალიზოს ავსტრალიის და ოკეანეთისთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული პროცესები (საზოგადოებრივი, ფიზიკურ-გეოგრაფიული), დაადგინოს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები (გეო.სტ.საბ.4,5,6,7,10,11); ავსტრალიის და ოკეანეთისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური პრობლემების (მაგ.: მარჯნები) დახასიათება; მათი პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.სტ.საბ.7,9,10,11). 	
<p>მკვიდრი წარმოდგენები</p> <ul style="list-style-type: none"> ავსტრალია ქვეყანა-კონტინენტი; ავსტრალია გამოირჩევა ეგზოტიკური/ენდემური ცხოველებით და მცენარეებით; ავსტრალიაში მდებარეობს ყველაზე დიდი და ღრმა მიწისქვეშა წყლების აუზი. ავსტრალიაში ბევრი დამშრალი მდინარეა (კრიკი); მოსახლეობის უმეტესობა ავსტრალიაში აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობს; ავსტრალია ცნობილია მარჯნებით; დიდ ბარიერულ რიფს განადგურების საფრთხე ემუქრება, რაც გარემოსდაცვით პრობლემებს ქმნის. 	

თემა: ანტარქტიდა

საათების სავარაუდო რაოდენობა: 16 (+4)

საკითხები

1. რუალ ამუნდსენი, ფადეი ბელინგსჰაუზენი;
2. ყინულის უდაბნო;
3. სამხრეთის ოკეანე;
4. კლიმატის გლობალური ცვლილება.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

რუკა, პირობითი ნიშნები, კოორდინატი, კომპასი, გეოგრაფიული ინფორმაცია, გეოგრაფიული გარსი, ბუნებრივი ზონა, მსოფლიო ოკეანე, ჰავა, გეოლოგიური პროცესი, რელიეფი, გეოგრაფიული აღმოჩენები; ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, დასახლების ტიპი, რეგიონი, კონტინენტი, გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება, ბუნებრივი კატასტროფა, უსაფრთხოება.

საკვანძო შევითხვები

- რისი გაგება შემიძლია ანტარქტიდის შესახებ რუკის საშუალებით?
- რატომ არის ანტარქტიდა ყველაზე დიდი ყინულოვანი უდაბნო?
- არსებობს თუ არა სამხრეთის ოკეანე?
- რატომ და როგორ ყალიბდება მშრალი ხეობები?
- რატომ ცხოვრობენ პინგვინები მხოლოდ ანტარქტიდაზე?
- რატომ არ ცხოვრობს ანტარქტიდაზე მუდმივი მოსახლეობა?
- რა გავლენას ახდენს ანტარქტიდაზე კლიმატის გლობალური ცვლილება? რა მოხდება, თუ ანტარქტიდის მყინვარები დადნება?
- რატომ გაჩნდა ოზონის ხვრელი ანტარქტიდის თავზე?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- რუკის გამოყენებით ანტარქტიდის (მაგ.: რელიეფის, ჰავის) დახასიათება (გეო.სტ.საბ.1,2,3,8);
- გააანალიზოს ანტარქტიდისთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული პროცესები (ფიზიკურ-გეოგრაფიული), დაადგინოს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები (გეო.სტ.საბ.4,5,6,7,10,11);
- ანტარქტიდისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური პრობლემების პრობლემების (მაგ.: ოზონის ხვრელი) დახასიათება; მათი პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.სტ.საბ.7,9,10,11).

მკვიდრი წარმოდგენები

- ანტარქტიდის ტერიტორია რამდენიმე ქვეყანას ეკუთვნის. ანტარქტიდაზე არ ცხოვრობს მუდმივი მოსახლეობა;
- ანტარქტიდა ყველაზე ცივი კონტინენტია. იგი ყინულოვანი უდაბნოა;
- ანტარქტიდაზე გავრცელებულია ძლიერი, მუდმივი ქარები;
- ანტარქტიდას სამხრეთ ოკეანე აკრავს გარს;
- ანტარქტიდის მიმდებარე წყლებში არ გვხვდება წყალმცენარეები (პლანქტონი). პინგვინები მხოლოდ ანტარქტიდაზე ცხოვრობენ;
- ოზონის ხვრელი ანტარქტიდის თავზე გაჩნდა.

თემები VIII კლასისათვის

<p>თემა: ევროპა საკითხები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზი; 2. ვიკინგები და მათი აღმოჩენები ევროპაში; 3. შენგენის ზონა. 	<p>საათების სავარაუდო რაოდენობა: 12 (+4)</p>
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები: რუკა, პირობითი ნიშნები, კოორდინატი, კომპასი, გეოგრაფიული ინფორმაცია, გეოგრაფიული გარსი, ბუნებრივი ზონა, მსოფლიო ოკეანე, ჰავა, გეოლოგიური პროცესი, რელიეფი, გეოგრაფიული აღმოჩენები; ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, დასახლების ტიპი, რეგიონი, კონტინენტი, გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება, ბუნებრივი კატასტროფა, უსაფრთხოება.</p>	
<p>საკვანძო შევითხვები</p> <ul style="list-style-type: none"> • რისი გაგება შემიძლია ევროპის შესახებ რუკის საშუალებით? • არის თუ არა ევროპა და აზია სხვადასხვა კონტინენტი? • სად გადის საზღვარი ევროპასა და აზიას შორის? • რატომ გახდა საჭირო „საწყისი მერიდიანი“ შემოღება? • რატომ არის ევროპის რელიეფი დანაწევრებული? • რატომ გვხვდება ჩრდილოეთ ევროპაში დიდი რაოდენობით ტბები, ფიორდები და გეიზერები? • რა გავლენა აქვს კლიმატს ევროპის მოსახლეობის საქმიანობის ტიპებზე? • რატომ გვაქვს ევროპაში ურბანიზაციის მაღალი დონე? • რა გარემოსდაცვითი ღონისძიებები ტარდება ევროპაში? • რატომ იზრდება ასაკოვანი მოსახლეობის რაოდენობა ევროპაში? • რატომ იზრდება ევროპაში იმიგრანტების რიცხვი? • რატომ არის მაღალი ცხოვრების დონე ჩრდილოეთ ევროპაში? • რატომ შეიქმნა ევროკავშირი? 	
<p>აქტივობები</p>	
<p>იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის</p>	
<p>შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • რუკის გამოყენებით ევროპის (მაგ.: რელიეფის, ჰავის) დახასიათება (გეო.სტ.საბ.1,2,3,8); • გააანალიზოს ევროპისთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული პროცესები (საზოგადოებრივი, ფიზიკურ-გეოგრაფიული), დაადგინოს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები (გეო.სტ.საბ.4,5,6,7,10,11); • ევროპისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური პრობლემების (მაგ.: ზღვების დაბინძურება) დახასიათება; მათი პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.სტ.საბ.7,9,10,11). 	
<p>მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც თემის სწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> • გრძედების ათვლა გრინვიჩის მერიდიანიდან იწყება; • ჩრდილოეთ ევროპაში ფიორდები და გეიზერები გვხვდება; • ევროპაში მკვეთრად იზრდება ასაკოვანი მოსახლეობის რაოდენობა; • ევროპის ქვეყნების უმრავლესობა ერთიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეს ქმნის; • ევროპაში ყოველდღიურად იზრდება იმიგრანტთა რიცხვი; • ევროპაში ბევრი ჯუჯა სახელმწიფოა. 	

საკითხები

1. ალპურ-ჰიმალაური დანაოჭება;
2. „ცეცხლოვანი რკალი“;
3. ჩრდილო ყინულოვანი ოკეანე;
4. „დიდი აბრეშუმის გზა“;
5. მარკო პოლო;
6. „პლასტიკური კუნძული“.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

რუკა, პირობითი ნიშნები, კოორდინატი, კომპასი, გეოგრაფიული ინფორმაცია, გეოგრაფიული გარსი, ბუნებრივი ზონა, მსოფლიო ოკეანე, ჰავა, გეოლოგიური პროცესი, რელიეფი, გეოგრაფიული აღმოჩენები; ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, დასახლების ტიპი, რეგიონი, კონტინენტი, გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება, ბუნებრივი კატასტროფა, უსაფრთხოება.

საკვანძო შეკითხვები

- რისი გაგება შემიძლია აზიის შესახებ რუკის საშუალებით?
- რატომ გამოირჩევა აზია ბუნებრივი ზონების მრავალფეროვნებით?
- რატომ იკარგება ერთი დღე თარიღთა ცვლის ხაზის გადაკვეთისას?
- რატომ არის ბევრი ვულკანური კუნძული წყნარ ოკეანეში?
- რატომ არის ყველაზე ბევრი მაღალი მწვერვალი და ყველაზე დაბალი ადგილები აზიაში?
- რატომ და როგორ ყალიბდება ცუნამი?
- რამ განაპირობა ახლო აღმოსავლეთში ნავთობისა და გაზის სიუხვე?
- რა გავლენას ახდენს რელიეფი აზიაში მოსახლეობის განსახლებაზე?
- რა გავლენას ახდენს აზიის რელიეფი მოსახლეობის საქმიანობაზე?
- რატომ ახასიათებს აზიის ქვეყნებს ფსევდო-ურბანიზაცია?
- როგორ მოხდა აზიური კულტურის გავრცელება ევროპაში?
- რატომ გადააქვთ ევროპიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩინეთში ქარხნები და ფაბრიკები?
- რატომ ხდება აზიაში ჰაერის და წყლის ინტენსიური დაბინძურება?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- რუკის გამოყენებით აზიის (მაგ.: რელიეფის, ჰავის) დახასიათება (გეო.სტ.საბ.1,2,3,8);
- გაანალიზოს აზიისთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული პროცესები (საზოგადოებრივი, ფიზიკურ-გეოგრაფიული), დაადგინოს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები (გეო.სტ.საბ.4,5,6,7,10,11);
- აზიისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური პრობლემების (მაგ.:ჰაერის დაბინძურება, წყლის დაბინძურება, ნიადაგის ეროზია.) დახასიათება; მათი პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.სტ.საბ.7,9,10,11).

მკვიდრი წარმოდგენები

- აზიაში ბევრი განსხვავებული ბუნებრივი ზონა და სასაათო სარტყელია;
- წყნარ ოკეანეში ხშირია ვულკანები, მიწისძვრები და ცუნამები;
- აზიაში მდებარეობს ყველაზე მაღალი მწვერვალი - ევერესტი, ყველაზე დაბალი ადგილი და ყველაზე მარილიანი ზღვა - მკვდარი ზღვა, ყველაზე ღრმა ადგილი მსოფლიო ოკეანეში - მარიანის ღრმული და ყველაზე ნალექიანი ადგილი - ჩერაპუნჯი;
- ახლო აღმოსავლეთში მსოფლიოში ნავთობი და გაზი ყველაზე დიდი რაოდენობით მოიპოვება;
- აზიის ქვეყნებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ფსევდო-ურბანიზაცია.

საკითხები

- 1. ანდები;
- 2. ამაზონის აუზი;
- 3. კონკისტადორები;
- 4. ფერნანდო მაგელანი;
- 5. ღარიბთა უბნები - ფაველები.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

რუკა, პირობითი ნიშნები, კოორდინატი, კომპასი, გეოგრაფიული ინფორმაცია, გეოგრაფიული გარსი, ბუნებრივი ზონა, მსოფლიო ოკეანე, ჰავა, გეოლოგიური პროცესი, რელიეფი, გეოგრაფიული აღმოჩენები; ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, დასახლების ტიპი, რეგიონი, კონტინენტი, გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება, ბუნებრივი კატასტროფა, უსაფრთხოება.

საკვანძო შეკითხვები

- რისი გაგება შემიძლია სამხრეთ ამერიკის შესახებ რუკის საშუალებით?
- რატომ აღნიშნავენ ახალ წელს ზაფხულში სამხრეთ ნახევარსფეროში?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ტროპიკული ტყეები?
- რატომ არის ამაზონი ყველაზე წყალუხვი მდინარე მსოფლიოში?
- რატომ არის მნიშვნელოვანი მდ. ამაზონის აუზი?
- რა გავლენას ახდენს ანდები (რელიეფი) სამხრეთ ამერიკის დასახლების ტიპებსა და მოსახლეობის განსახლებაზე?
- რა როლი იქონია დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა სამხრეთ ამერიკის განვითარებაზე?
- რატომ ხდება ტროპიკული ტყეების ინტენსიური ჭრა?
- რატომ არის სამხრეთ ამერიკაში გამოფიტული ნიადაგის პრობლემა?
- რატომ არის სამხრეთ ამერიკა მდიდარი სპილენძითა და ნავთობით?
- რატომ არსებობს მკვეთრად გამოხატული სოციალური-ეკონომიკური უთანასწორობა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში?

აქტივობები

იდებები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- რუკის გამოყენებით სამხრეთ ამერიკის (მაგ.: რელიეფის, ჰავის) დახასიათება (გეო.სტ.საბ.1,2,3,8);
- გაანალიზოს სამხრეთ ამერიკისთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული პროცესები (საზოგადოებრივი, ფიზიკურ-გეოგრაფიული), დაადგინოს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები (გეო.სტ.საბ.4,5,6,7,10,11);
- სამხრეთ ამერიკისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური პრობლემების პრობლემების (მაგ.: ტროპიკული ტყეების ინტენსიური ჭრა, ნიადაგის ეროზია)დახასიათება; მათი პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.სტ.საბ.7,9,10,11).

მკვიდრი წარმოდგენები

- სამხრეთ ნახევარსფეროში შებრუნებული სეზონებია;
- სამხრეთ ამერიკისათვის ტროპიკული ტყეებია (ჰილეები) დამახასიათებელი;
- ამაზონი ყველაზე წყალუხვი მდინარეა მსოფლიოში;
- სამხრეთ ამერიკის ყველაზე დიდ ქვეყანა, ბრაზილიაში მსოფლიოში ყველაზე მკვეთრადაა გამოხატული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა.

საკითხები

- 1. კორდილიერები;
- 2. სან-ანდრეასის რღვევა;
- 3. ქრისტეფორე კოლუმბი, ამერიგო ვესპუჩი;
- 4. იელოუსტოუნის ეროვნული პარკი;
- 5. მეგაპოლისები.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

რუკა, პირობითი ნიშნები, კოორდინატი, კომპასი, გეოგრაფიული ინფორმაცია, გეოგრაფიული გარსი, ბუნებრივი ზონა, მსოფლიო ოკეანე, ჰავა, გეოლოგიური პროცესი, რელიეფი, გეოგრაფიული აღმოჩენები; ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, დასახლების ტიპი, რეგიონი, კონტინენტი, გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება, ბუნებრივი კატასტროფა, უსაფრთხოება.

საკვანძო შეკითხვები

- რისი გაგება შემიძლია ჩრდილოეთ ამერიკის შესახებ რუკის საშუალებით?
- როგორ გამოიხატება ფილების ტექტონიკა ჩრდილოეთ ამერიკაში?
- როგორი გავლენა აქვს გოლფსტრიმის დინებას ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროს ჰავაზე?
- რა როლი იქონია დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ჩრდილოეთ ამერიკის განვითარებაზე?
- რატომ იყო მიმზიდველი ჩრდილოეთ ამერიკა ახალი ისტორიის პერიოდში?
- როგორ უმკლავდებიან ბუნებრივ კატასტროფებს ჩრდილოეთ ამერიკაში? როგორ შეიძლება შევამციროთ სტიქიური უბედურებებისგან მოყენებული ზარალი?
- როგორ ყალიბდება სმოგი?
- რატომ არის ამერიკის შეერთებული შტატები ეთნიკურად მრავალფეროვანი?
- რატომ არის ნავთობითა და ოქროთ მდიდარი ჩრდილოეთ ამერიკა?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- რუკის გამოყენებით ჩრდილოეთ ამერიკის (მაგ.: რელიეფის, ჰავის) დახასიათება (გეო.სტ.საბ.1,2,3,8);
- გაანალიზოს ჩრდილოეთ ამერიკისთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული პროცესები (საზოგადოებრივი, ფიზიკურ-გეოგრაფიული), დაადგინოს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები (გეო.სტ.საბ.4,5,6,7,10,11);
- ჩრდილოეთ ამერიკისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური პრობლემების პრობლემების (მაგ.: ქარიშხლები, ტორნადოები, წყალდიდობები) დახასიათება; მათი პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.სტ.საბ.7,9,10,11).

მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც თემის სწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს:

- ჩრდილოეთ ამერიკაში ტექტონიკური ფილების საზღვრების შეუიარაღებელი თვალთ დანახვა შესაძლებელი;
- ინდიელები ჩრდილოეთ ამერიკის აბორიგენი მოსახლეობაა; ამერიკის შეერთებული შტატები ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა;
- იელოუსტოუნი პირველი ეროვნული პარკია მსოფლიოში;
- ჩრდილოეთი ამერიკა მდიდარია ნავთობითა და ოქროთი;
- ტორნადოები დიდ ზარალს აყენებს ჩრდილოეთ ამერიკას;
- სმოგი პრობლემას წარმოადგენს ჩრდილოეთ ამერიკის დიდი ქალაქებისათვის.

თემები IX კლასისათვის

<p>თემა: დასავლეთ საქართველო საკითხები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. შავი ზღვა; 2. კოლხეთის დაბლობი; 3. სათაფლიის მღვიმე; 4. ბეზენგის კედელი; 5. სუფსის ნავთობტერმინალი. 	<p>საათების სავარაუდო რაოდენობა: 20 (+4)</p>
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები: რუკა, პირობითი ნიშნები, კოორდინატი, კომპასი, გეოგრაფიული ინფორმაცია, გეოგრაფიული გარსი, ბუნებრივი ზონა, მსოფლიო ოკეანე, ჰავა, გეოლოგიური პროცესი, რელიეფი; ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, დასახლების ტიპი, რეგიონი, გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება, ბუნებრივი კატასტროფა, უსაფრთხოება.</p>	
<p>საკვანძო შეკითხვები</p> <ul style="list-style-type: none"> • რისი გაგება შემიძლია დასავლეთ საქართველოს შესახებ რუკის საშუალებით? • რატომ არის დასავლეთ საქართველო უფრო ტენიანი, ვიდრე აღმოსავლეთი? რატომ მოდის ნალექების უმეტესი ნაწილი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე? • რა როლს თამაშობს ჰავის ფორმირებაში კავკასიონი? • რატომ ჩნდება კარსტული მღვიმეები დასავლეთ საქართველოში? • როგორ ყალიბდება მაგნეტიტური ქვიშები? • რა გავლენა იქონია აბრეშუმის გზამ დასავლეთ საქართველოს განვითარებაზე? • რა გავლენას ახდენს რელიეფი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის განსახლებასა და საქმიანობის ტიპზე? • რატომ არის მეციტრუსეობა და მეჩაიეობა განვითარებული დასავლეთ საქართველოში? • რატომ იცლება დასავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონები მოსახლეობისგან? • რატომ ხდება დასავლეთ საქართველოში მიწისძვრა, მეწყერი, შტორმი? როგორ მოვიქცეთ ბუნებრივი და ანთროპოგენური კატასტროფების დროს? 	
<p>აქტივობები</p>	
<p>იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის</p>	
<p>შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • რუკის გამოყენებით დასავლეთ საქართველოს (მაგ.: რელიეფის, ჰავის) დახასიათება (გეო.სტ.საბ.1,2,3,8); • გაანალიზოს დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული პროცესები (საზოგადოებრივი, ფიზიკურ-გეოგრაფიული), დაადგინოს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები (გეო.სტ.საბ.4,5,6,7,10,11); • დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური პრობლემების პრობლემების (მაგ.: მეწყერები, მიწისძვრები, შტორმი) დახასიათება; მათი პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.სტ.საბ.7,9,10,11). 	
<p>მკვიდრი წარმოდგენები</p> <ul style="list-style-type: none"> • დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთთან შედარებით ტენიანია; • შავი ზღვა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერიაა; • დასავლეთ საქართველოში ორი ავტონომიური ერთეული, აჭარა და აფხაზეთი, მდებარეობს; • დასავლეთ საქართველოში ბევრი კარსტული მღვიმეა; • დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია მეციტრუსეობა და მეჩაიეობა; • დასავლეთ საქართველო მდიდარია გამაჯანსაღებელი და სამკურნალო რესურსებით (მაგნეტიტური ქვიშა, მინერალური წყლები). 	

საკითხები

1. ლაგოდეხის ნაკრძალი;
2. მელვინობა;
3. აღმოსავლეთ კავკასიონი;
4. როკისა და რიკოთის საავტომობილო მაგისტრალები;
5. მდინარე ალაზანი და ცვალებადი საზღვარი.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

რუკა, პირობითი ნიშნები, კოორდინატი, კომპასი, გეოგრაფიული ინფორმაცია, გეოგრაფიული გარსი, ბუნებრივი ზონა, ჰავა, გეოლოგიური პროცესი, რელიეფი; ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, დასახლების ტიპი, რეგიონი, გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება, ბუნებრივი კატასტროფა, უსაფრთხოება.

საკვანძო შეკითხვები

- რისი გაგება შემიძლია აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ რუკის საშუალებით?
- რატომ არის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავალფეროვანი ჰავა?
- როგორ ჩამოყალიბდა თბილისის ქვაბული და რა გავლენა იქონია რელიეფმა განსახლებასა და განაშენიანებაზე?
- როგორ წარმოიქმნება კანიონები?
- რატომ იზრდება თბილისის მოსახლეობა?
- რა განაპირობებს აღმოსავლეთ საქართველოს ყურმნის ჯიშების მრავალფეროვნებას და უნიკალურობას?
- რატომ არის განვითარებული მეცხვარეობა აღმოსავლეთ საქართველოში?
- რა განაპირობებს აღმოსავლეთ საქართველოს ხორბლის ჯიშების მრავალფეროვნებასა და სახეობების ენდემურობას?
- რა სახის ბუნებრივი კატასტროფებია დამახასიათებელი აღმოსავლეთ საქართველოსთვის და როგორ უმკლავდებიან მათ?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- რუკის გამოყენებით აღმოსავლეთ საქართველოს (მაგ.: რელიეფის, ჰავის) დახასიათება (გეო.სტ.საბ.1,2,3,8);
- გაანალიზოს აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული პროცესები (საზოგადოებრივი, ფიზიკურ-გეოგრაფიული), დაადგინოს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები (გეო.სტ.საბ.4,5,6,7,10,11);
- აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური პრობლემების პრობლემების (მაგ.: ღვარცოფები) დახასიათება; მათი პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.სტ.საბ.7,9,10,11).

მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც თემის სწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს:

- აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა ტიპის ჰავას ვხვდებით;
- აღმოსავლეთ საქართველოში მეცხვარეობაა განვითარებული;
- აღმოსავლეთ საქართველო გამოირჩევა ყურმნის და ხორბლის უნიკალური ჯიშების მრავალფეროვნებით;
- თბილისი გაშენებულია მტკვრის ტერასებზე და მთებითაა გარშემორტყმული;
- მდინარე მტკვარი სამ ქვეყანაში გაედინება;
- მოსახლეობა მიმდებარე ქალაქებიდან და სოფლებიდან ყოველდღიურად მიგრირებს თბილისში;
- აღმოსავლეთ საქართველოში ხშირია ღვარცოფები.

საკითხები

- 1. აბასთუმანი;
- 2. გოდერძის უღელტეხილი;
- 3. ფარავნის ტბა.
- 4. ბორჯომის მინერალური წყალი.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

რუკა, პირობითი ნიშნები, კოორდინატი, კომპასი, გეოგრაფიული ინფორმაცია, გეოგრაფიული გარსი, ბუნებრივი ზონა, ჰავა, გეოლოგიური პროცესი, რელიეფი; ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, დასახლების ტიპი, რეგიონი, გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება, ბუნებრივი კატასტროფა, უსაფრთხოება.

საკვანძო შეკითხვები

- რისი გაგება შემიძლია სამხრეთ საქართველოს შესახებ რუკის საშუალებით?
- რატომ გვხვდება ბევრი ჩამქრალი ვულკანი სამხრეთ საქართველოში? რატომ ახასიათებს სამხრეთ საქართველოს კონუსისებრი რელიეფი?
- რატომ გვაქვს ბევრი ტბა სამხრეთ საქართველოში?
- რაზე მეტყველებს ნამარხი ტყის არსებობა?
- რა გავლენას ახდენს რელიეფი სამხრეთ საქართველოს განსახლებასა და საქმიანობაზე?
- რა სახის ბუნებრივი კატასტროფებია გავრცელებული სამხრეთ საქართველოში და როგორ უმკლავდებიან მათ?
- რატომ არის სამხრეთ საქართველო ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროფილის?
- რატომ უკავია სამცხე-ჯავახეთში სასოფლო-სამეურნეო მიწების თითქმის ნახევარი საძოვრებს?
- რატომ ხდება ტყეების ინტენსიური ჩეხვა?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- რუკის გამოყენებით სამხრეთ საქართველოს (მაგ.: რელიეფის, ჰავის) დახასიათება (გეო.სტ.საბ.1,2,3,8);
- გაანალიზოს სამხრეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული პროცესები (საზოგადოებრივი, ფიზიკურ-გეოგრაფიული), დაადგინოს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები (გეო.სტ.საბ.4,5,6,7,10,11);
- სამხრეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური პრობლემების პრობლემების (მაგ.:მიწისძვრები) დახასიათება; მათი პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.სტ.საბ.7,9,10,11).

მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც თემის სწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს:

- საქართველოში ერთადერთი ობსერვატორია აბასთუმანში მდებარეობს.
- სამხრეთ საქართველო მდიდარია ტბებით;
- სამხრეთ საქართველო ვულკანური რელიეფით გამოირჩევა;
- სამხრეთ საქართველო ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა;
- სამხრეთ საქართველოზე მნიშვნელოვანი მილსადენი გადის.